სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

ივლისი 2018

- 2018 წლის ივლისში, ივნისის თვესთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 2.7%-ით გაიზარდა;
- 2018 წლის ივლისში, სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად აჭარაში - 10.1%-ით და სამცხე-ჯავახეთში - 5.9%-ით გაიზარდა, სასტუმროს ფასები მხოლოდ თბილისში შემცირდა - 1.2%-ით;
- ივლისში 3* სასტუმროს საშუალო ფასმა 148 ლარი შეადგინა, 4* - 254 ლარი, 5* - 455 ლარი, ხოლო საოჯახო ტიპის - 72 ლარი;
- თბილისში, 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასები 2018 წლის ივლისში, ივნისთან შედარებით, 2.1%-ით შემცირდა;
- თბილისში Tripadvisor-ზე დარეგისტრირებული განთავსების საშუალებათა რაოდენობა 1618-ს შეადგენს, აღნიშნული აღემატება ბაქოში - 456, ერევანში - 436 და ანკარაში - 364 დარეგისტრირებულ განთავსების საშუალებათა რაოდენობებს.

სასტუმროების საშუალო ფასები

2018 წლის ივლისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **148 ლარი** შეადგინა. 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის ყველაზე მაღალი საშუალო ფასები რეგიონებს შორის სამეგრელო-ზემო სვანეთში - 180 ლარი და აჭარაში - 156 ლარი დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ ივლისში აღნიშნული რეგიონების 3* სასტუმროების საშუალო ფასმა, ბოლო ათი თვის (ოქტომბერი - ივლისი) მაქსიმუმს მიაღწია. ივლისის თვეში, 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის დაბალი ფასებით გამოირჩეოდა ქვემო ქართლი - 89 ლარი და იმერეთი - 110 ლარი.

4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა ივლისში **254 ლარი** შეადგინა. 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის, ყველაზე მაღალი საშუალო ფასები სამცხე-ჯავახეთში - 297 ლარი და კახეთში - 289 ლარი დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ ივლისში, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის 4* სასტუმროების საშუალო ფასმა, ბოლო ათი თვის მაქსიმუმს მიაღწია. ივლისის თვეში 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის დაბალი ფასებით გამოირჩეოდა სამეგრელო-ზემო სვანეთი - 155 ლარი და იმერეთი - 219 ლარი.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ივლისში **455 ლარი** შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 518 ლარი შეადგინა, სამცხე-ჯავახეთში - 443 ლარი, აჭარაში - 432 ლარი, ხოლო კახეთში - 408 ლარი. 5* სასტუმროების საშუალო ფასმა, აჭარაში და სამცხე-ჯავახეთში, ბოლო ათი თვის მაქსიმუმს მიაღწია. თბილისში ბოლო ათი თვის განმავლობაში, 5* სასტუმროს ყველაზე მაღალი საშუალო ფასი ოქტომბერში დაფიქსირდა, ხოლო კახეთში - ივნისში.

საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა ივლისის თვეში **72 ლარი** შეადგინა. ივლისში, ყველაზე მაღალი ფასი საოჯახო ტიპის სასტუმროებში ქვემო ქართლში - 148 ლარი და აჭარაში - 92 ლარი დაფიქსირდა. ივლისის თვეში, აჭარის საოჯახო ტიპის სასტუმროს საშუალო ფასმა ბოლო ათი თვის მაქსიმუმს მიაღწია, ხოლო ქვემო ქართლში, აღნიშნულ პერიოდში, ყველაზე მაღალი საშუალო ფასი 2017 წლის ნოემბერში დაფიქსირდა. საოჯახო ტიპის სასტუმროებს შორის ყველაზე დაბალი საშუალო ფასები დაფიქსირდა იმერეთში - 58 ლარი და კახეთში - 62 ლარი.

airbnb-ის მიხედვით ბინების საშუალო ფასმა საქართველოში ივლისში $45 შეადგინა. საქართველოს 5 თვითმმართველ ქალაქს შორის, ყველაზე მაღალი საშუალო ფასი ბათუმში დაფიქსირდა-$50, შემდეგ მოდის თბილისი-$43, ფოთი-$35, ქუთაისი-$30 და რუსთავი-$20.

სასტუმროების ფასების ინდექსი

სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2018 წლის ივლისში, ივნისის თვესთან შედარებით, 2.7%-ით გაიზარდა. სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად აჭარაში - 10.1%-ით და სამცხე-ჯავახეთში - 5.9%-ით გაიზარდა. აჭარაში სასტუმროების ფასების ზრდა, ძირითადად, ქობულეთის (13%) და ბათუმის (10%) სასტუმროების ფასების ზრდამ განაპირობა. სამცხე-ჯავახეთის სასტუმროების ფასების ზრდა ძირითადად განაპირობა ბორჯომის სასტუმროების ფასების ზრდამ (18.3%), აღსანიშნავია, რომ ბაკურიანში სასტუმროების ფასები შემცირდა (-2.5%). საქართველოს ათ რეგიონს და თბილისს შორის, 2018 წლის ივლისში, ივნისის თვესთან შედარებით, სასტუმროს ფასები მხოლოდ თბილისში შემცირდა - 1.2%-ით.

რეგიონი	სასტუმრო	3*, 4*, 5*	საოჯახო
აჭარა	10.1%	13.8%	4.7%
სამცხე-ჯავახეთი	5.9%	8.9%	3.4%
რაჭა	4.6%		4.6%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	3.4%	6.6%	2.4%
იმერეთი	2.7%	4.4%	1.6%
შიდა ქართლი	2.6%		2.6%
მცხეთა-მთიანეთი	2.6%	1.2%	3.8%
გურია	1.6%	5.1%	-0.7%
კახეთი	0.9%	-0.6%	1.3%
ქვემო ქართლი	0.0%	0.0%	0.0%
თბილისი	-1.2%	-2.1%	2.8%
სულ ფასების % ცვლილება	2.7%	2.9%	3.2%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2018 წლის ივლისში 2018 წლის ივნისის ფასებთან შედარებით

3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2018 წლის ივლისში, ივნისთან შედარებით, 2.9%-ით გაიზარდა. ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად აჭარაში - 13.8%-ით და სამცხე-ჯავახეთში - 8.9%-ით გაიზარდა. 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების კლება მხოლოდ თბილისში და კახეთში დაფიქსირდა, შესაბამისად -2.1% და -0.6%.

საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები ივლისში, ივნისის თვესთან შედარებით 3.2%-ით გაიზარდა. რეგიონების მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად აჭარაში და რაჭაში გაიზარდა, შესაბამისად, 4.7% და 4.6%-ით. აღნიშნული ტიპის სასტუმროებში, ივლისში, ივნისთან შედარებით, ფასები მხოლოდ გურიაში შემცირდა - 0.7%-ით.

Tripadvisor - სასტუმროები და რესტორნები

Tripadvisor-ზე[4] საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების დედაქალაქებს შორის, ყველაზე მეტი განთავსების საშუალება მოსკოვშია დარეგისტრირებული - 2843 ობიექტი, თბილისში Tripadvisor-ზე დარეგისტრირებული განთავსების საშუალებათა რაოდენობა 1618-ს შეადგენს, აღნიშნული მოსკოვის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. Tripadvisor-ზე დარეგისტრირებული აზერბაიჯანის, სომხეთის და თურქეთის დედაქალაქების განთავსების საშუალებათა რაოდენობა კი შემდეგნაირად ნაწილდება: ბაქო - 456, ერევანი - 436, ანკარა - 364.

Tripadvisor-ზე საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების დედაქალაქებს შორის, ყველაზე მეტი რესტორანი, სასტუმროების მსგავსად, მოსკოვშია დარეგისტრირებული - 12469, შემდეგ მოდის ანკარა - 3330, თბილისი - 906, ერევანი - 678 და ბაქო - 669. საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების დედაქალაქებს შორის, თბილისი ერთადერთია, სადაც Tripadvisor-ზე დარეგისტრირებული განთავსების საშუალებათა რაოდენობა აღემატება რესტორნების რაოდენობას.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	II 2016	III 2016	IV 2016	2016	I 2017*	II 2017*	III 2017*	IV 2017 *	2017 *	I 2018*
1	489.3	559,1	493.4	1978.3	458.7	549	647.7	579.9	2235.4	534.8
2	1505	2245.1	1473.8	6360.5	1267	1730	2827	1732.1	7556.3	1463.6
3	606.3	1146.6	559.6	2721	514.4	796.2	1473.6	695.3	3479.5	659.3
4	515.4	817.2	481.2	2166.3	434.6	658.8	1081.1	576.8	2751.3	550.8
5	103	107.8	92.4	386.3	81.4	109.5	152	120.7	463.6	105.9
6	0.8	12.5	35.3	56.9	16.1	31.7	30.6	11.6	90	21.9

1 ტურიზმის სფეროებში შექმნილი დამატებითი ღირებულება (მლნ. ლარი)

2 საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა (ათასი კაცი)

3 ტურისტების რაოდენობა (24 საათი და მეტი, ათასი კაცი)

4 შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (მლნ. აშშ დოლარი)

5 საქართველოს მოქალაქეების ტურისტული დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ. აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასტუმროების და რესტორნების სექტორში (მლნ. აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3, 4, 5 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების ძერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3, 4, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. (Consumer Price Index Manual-Theory and Practice(2004), Practical Guide to Producing Consumer Price Indices (2009).

4 https://www.tripadvisor.com/

* წინასწარი მონაცემები